



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302221727
 თარიღი: 05/08/2022

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის ივლისის თვეში განცხადებით (წარმოგიდგენთ დანართის სახით) მომმართა ა(ა)იპ „ოდა-ქეარის“ (ს/კ 437373156) დირექტორმა ვერა წულაძემ. განმცხადებელმა აღნიშნა ორგანიზაციის ამოცანა და მიზანი კერძოდ, 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ადვოკატირება, ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო ინიცირება. 2. შშმ ბავშვთა უფლებების დაცვა. 3. საზოგადოების ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და განვითარება, საზოგადოებაში სწორი, ღირებულებებზე დაფუძნებული იდეალების, დამკვიდრების ხელშეწყობა. 4. ორგანიზაციის სერვისებით უზრუნველყოფა: შშმ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი, გონებრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. 5. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და განათლება ადამიანის უფლებების სფეროში. 6. კვლევების, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება. 7. საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელება. 8. შშმ მშობლების, მეურვეებისა და

ოჯახების სხვა წევრების უფლებების დაცვა, მხარდამჭერი პროგრამების ინიცირება და განხორციელება). განმცხადებელმა ითხოვა ორგანიზაციის ფუნქციებისა და წესდებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაო სივრცის გამოყოფა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე 27.06.52.141 საკადასტრო კოდზე არსებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე: N8 - 47,00 კვ.მ; N9 - 51,90 კვ.მ; N10 - 12,23 კვ.მ; N11 - 16,03 კვ.მ; N12 - 18,92 კვ.მ; N13 - 12,21 კვ.მ; N14- 13,36 კვ.მ; N15 - 5,50 კვ.მ; N16 - 6,71 კვ.მ; N17 - 13,05 კვ.მ; N26- 18,25 კვ.მ; და N27 - 26,59 კვ.მ; ფართობები. ჯამში საერთო ფართობით - 241,75 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ „ოდა-ქეარს“, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებლის ომარ ჯანაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ეკა გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





ა(ა)იპ „ოდა ქეარ“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოდა ქეარ“

საიდენტიფიკაციო კოდი : 437373156.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ქოზურგეთი, მეცნიერების ქ. №14.ბინა №13

სხვა (ფაქტიური) მისამართი: საქართველო, დაბა ჩოხატაური,

ი. ჭავჭავაძის ქ.№1 ელ. ფოსტა: odacareorganization@gmail.com

ტელ.: 598300153

№ 42

20/07/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს,

ბატონო ალექსანდრე,

გაცნობებთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია „ოდა ქეარი“, ფუნქციონირებს 2019 წლის აპრილიდან, ორგანიზაციის მიზნები და ამოცანებია:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების ადვოკატირება, ინტერესების დაცვა და საკანონდებლო ინიცირება.
2. შშმ ბავშვთა უფლებების დაცვა.
3. საზოგადოების ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და განვითარება, საზოგადოებაში სწორი, ღირებულებებზე დაფუძნებული იდეალების, დამკვიდრების ხელშეწყობა.
4. ორგანიზაციის სერვისებით უზრუნველყოფა; შშმ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი, გონებრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა.
5. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და განათლება ადამიანის უფლებების სფეროში.
6. კვლევების, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება.
7. საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელება.
8. შშმ მშობლების, მეურვეებისა და ოჯახების სხვა წევრების უფლებების დაცვა, მხარდამჭერი პროგრამების ინიცირება და განხორციელება.

ორგანიზაციას თავისი ფუნქციების და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად ამ ეტაპზე ესაჭიროება სამუშაო სივრცე. „ოდა ქეარი“ მუშაობს სხვადასხვა ფონდებთან გრანტების მოძიების კუთხით, რომლის ფარგლებშიც 2020 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დაიწყო ორგანიზაციამ ბავშვთა ადრეული განვითარების და აუტიზმის

პროგრამის განხორციელება. ამ ეტაპზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში იწყება რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა, რომელიც ხორციელდება ევრო კავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ასოციაცია ანიკა“. პროექტის პარტნიორია "თელავის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი".

პროექტის ფარგლებში დაიწყო ადგილობრივი კადრის გადამზადება, ასევე შესაბამისი სერვისის განსახორციელებლად საჭიროა სარეაბილიტაციო სივრცე 150 კვ.მ, სამწუხაროდ ასეთი მოცულობის ფართის მოძიება ვერ მოვახერხეთ ჩვენი ძალებით. მოგეხსენებათ, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო დონორებისთვის მნიშვნელოვანია დააფინანსოს ის პროექტები და ორგანიზაციები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ვინაიდან მხოლოდ ამ ფორმით არის შესაძლებელი თემის საჭიროებებზე მორგებულ მდგრადი სოციალური სერვისების განვითარება.

მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხრიდან ორგანიზაციისთვის მის ბალანსზე არსებული სამუშაო სივრცის გამოყოფა იქნება ის ნაბიჯი რაც ორგანიზაციას მისცემს საშუალებას შექმნას ხარისხიანი სერვისი და მომავალში სოლიდური არგუმენტი იქნება დონორებისთვის განავითარონ და შესაბამისი თანხები მიმართონ მუნიციპალიტეტში სერვისების განვითარებისთვის.

პატივისცემით,


ორგანიზაციის დირექტორი

ვერა წულაძე.



შ.პ.ს. „გეოიდი“

ს/კ 27.06.52.141
შენიშნა №-1
I სართული



შენიშნის შიდა აღწერითი ნახაზი

დაამუშავა	საშენობის პროექტის ავტორი	საპროექტო კომპანია	ს/კ
შეამოწმა	საშენობის პროექტის ავტორი	საპროექტო კომპანია	ს/კ
შემოწმების თარიღი	2017.07.15	საპროექტო კომპანია	ს/კ
საშენობის პროექტის ავტორი	საპროექტო კომპანია	ს/კ	ს/კ



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური**



წერილის ნომერი: **08-302220933**
თარიღი: **28/07/2022**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს**

**ქონების მართვისა და სოფლის
მეურნეობის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებლის ომარ
ჯანაძის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N609 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოთ.

მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა (კანცელარიის N 10/302220115-30; 20.07.2022 წელი) ა(ა)იპ „ოდა ქვარი“-ს (ს/კ 437373156) დირექტორმა ვერა წულაძემ რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე (N 8 - 47,00 კვ.მ; N 9 - 51,90კვ.მ; N 10 - 12,23 კვ.მ; N 11 - 16,03 კვ.მ. N 12 - 18,92 კვ.მ; N 13 - 12,21 კვ.მ; N 14- 13,36 კვ.მ; N 15 - 5,50 კვ.მ N 16 - 6,71 კვ.მ. N 17 - 13,05 კვ.მ; N 26- 18,25 კვ.მ და N 27 - 26,59 კვ.მ. საერთო ფართით 241,75 კვ.მ.) ფართის გამოყოფა ორგანიზაციის ფუნქციების და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად (ა(ა)იპ „ოდა ქვარი“ არსებობს 2019 წლიდან, მისი მიზნები და ამოცანებია: 1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მქონე პირების უფლებების ადვოკატირება, ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო ინიცირება. 2. შშმ ბავშვთა უფლებების დაცვა. 3. საზოგადოების ცნობიერების და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და განვითარება,

საზოგადოებაში სწორი, ღირებულებებზე დაფუძნებული იდეალების, დამკვიდრების ხელშეწყობა. 4. ორგანიზაციის სერვისებით უზრუნველყოფა: შშმ ბავშვთა ფიზიკური, სულიერი, გონებრივი და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა. 5. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება და განათლება ადამიანის უფლებების სფეროში. 6. კვლევების, კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება. 7. საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამების განხორციელება. 8. შშმ მშობლების, მეურვეებისა და ოჯახების სხვა წევრების უფლებების დაცვა, მხარდამჭერი პროგრამების ინიცირება და განხორციელება.)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა ა(ა)იპ „ოდა ქეარ“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N 37 - ში მდებარე , მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე 241,75 კვ.მ ფართი.

ზემოთაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

გთხოვთ დაავალოთ ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით:

ომარ ჯანაძე

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე 27.06.52.141 საკადასტრო კოდზე არსებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე: N8 – 47,00 კვ.მ; N9 – 51,90 კვ.მ; N10 – 12,23 კვ.მ; N11 – 16,03 კვ.მ; N12 – 18,92 კვ.მ; N13 – 12,21 კვ.მ; N14- 13,36 კვ.მ; N15 – 5,50 კვ.მ; N16 – 6,71 კვ.მ; N17 – 13,05 კვ.მ; N26- 18,25 კვ.მ; და N27 - 26,59 კვ.მ; ფართობები. ჯამში საერთო ფართობით - 241,75 კვ.მ.) გადასცეს ა(ა)იპ „ოდა-ქეარს“ (ს/კ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე